# ცნობის ფურცელი

V წ. — ყოველდღიური გამოცემა.— სამშაბათი, 11 ივლისი 1900 წ. — № 1177

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## კბილის საექიმო კაბინეტი
## ნ. თ. ხორავასი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე. რაზიეზჟაია, 17, ვორონცოვის მეგლთან. ნ. 10—3

## წარსული წლების ჟურნალი
## „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**10 ივლისი**

**პეტერბურგი.** ინჟენერ სვიაგინის დეპეშა, გამოგზავნილი 5 ივლისს სადგურ პოგრანიჩნაიადან: „14 ივნისს მოვიდა ჩინეთის სადარაჯო რაზმის უფროსი და გაგვაფრთხილა—სადგურს თავდასხმას უპირებს 500 კაცისაგან შემდგარი ბრბოო. ჩინელების მიერ გავრცელებულმა ხმებმა სადგურზე თავდასხმის შესახებ მეტად შეაწუხა სადგურზე მცხოვრებნი და მომუშავენი. 27 ივნისს ხარბინში გაგზავნილ სადარაჯო რაზმს, ასი კაცისაგან შემდგარს, მურენთან თავს დაესხა ჩინელთა ბრბო 400 კაცისაგან შემდგარი და შეიარაღებული ახალის სისტემის თოფებით. ჩვენმა რაზმმა უკუაქცია მეამბოხენი, რომელთა შორის ჩინელი ჯარის კაციც იყვნენ. ჩვენ ცოტა გვყავს დაჭრილ-მოკლული. ჩინელებს მოუკლეს 60 კაცი; მათ შორის ორი წინამძღოლიც. რკინის გზის ლიანდაგს მოშორდნენ ჩინელი დარაჯნი. ჩინელმა ჯარის კაცებმა წასვლის წინად თავი დაანებებინეს მუშებს მუშაობისათვის. ბევრი მუშები გაიფანტნენ. მუშაობა ცუდად მიდის. წესიერება დაცულია. 10 ივლისს ვიწყებ რელსების დაწყობას მე-12 განყოფილებაზე.“

ინჟენერი კრუტიცკი დეპეშით იტყობინება ალგაჩიდან 7 ივლისს: „ჩინეთის ჯარებმა დაიჭირეს ხაილარი. უფროსი ინჟენერის შესახებ ჯერ არავითარი ცნობა არ მოსულა. ჩვენი სადარაჯო რაზმები გროვდებიან ხარბინში“.

**ჩიფუ.** იანშიკაის გუბერნატორის დეპეშა 8 ივლისს: „სარწმუნო ცნობები მივიღე პეკინიდან, რომ ყველა ელჩები ცოცხალი არიან.“

**ბერლინი.** გერმანიის კონსული სვატაუში იტყობინება, რომ პროვინციებიდან მოვიდნენ ყველა გერმანელი მისსიონერები და უშიშარ მდგომარეობაში არიანო.

**ბელგრადი.** მეფე ალექსანდრე მანიფესტით აცხადებს, რომ იგი დაინიშნა დედოფლის ნატალიის სასახლის ქალზე დრაგამაშინზე.

**შანხაი.** აქ მოვიდა ლიხუნჩანგი. კონსულებმა გადასწყვიტეს ოფიციალურად არ მიიღონ მასთან სადარბაზოთ.

**ბელგრადი.** მეფემ ნება დართო სამინისტროს სამსახურიდან გადადგეს.

---

## ოფიციალური და სხვა ცნობები ჩინეთში არეულობის შესახებ

∝ გუშინ კონსტანტინეპოლიდან მოსულ დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ ოსმალეთის მთავრობა და ოსმალები გულ-გრილად უყურებენ ჩინელ-ევროპიელთ ახლანდელ დამოკიდებულებასო. აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი ოსმალელი დიპლომატი: ოსმალეთს არავითარი ინტერესი არ აქვს ჩინეთში და ამიტომ იგი აქტიურად არ ჩაერევა ახლანდელ არეულობაში. მაგრამ თუ ამ არეულობამ ევროპაშიაც გამოიწვია შეტაკება, ოსმალეთი მიემხრობა იმ სახელმწიფოს, რომელიც მას მეტ გარანტიას მისცემსო. ამავე კითხვის შესახებ სტამბოლიდან იწერებიან: ილდიზ-კიოსკში გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ჩინეთის ამბებს, და, გარდა გარეშე, ოსმალეთის სიმპატია ჩინელების მხარეზეა. აქ ძალიან უხარიათ ის ჭკუის სწავლება, რომელიც ევროპიელებმა მიიღეს ჩინელებისაგან და აგრეთვე სასიამოვნოდ რჩებათ ის გარემოება, რომ აჯანყებაში დიდ მონაწილეობას იღებენ მაჰმადიანი ჩინელები. მოლები უხსნიან მლოცველებს, რომ ჩინელების აჯანყებით განგებას ჰსურს დასაჯოს ევროპიელები, რადგანაც ამათ ჰსურთ გააქრისტიანონ ხალხი, რომელიც განგების ნებით მაჰმადიანობისათვის არის ჩაგანწესებული. ოსმალეთის პროვინციებში ისეთი აღელვებაა, რომ მის დასამშვიდებლად ძალა იქნება საჭირო.

∝ ევროპის სახელმწიფოების ფლოტი ჩინეთში: ინგლისს ჰყავს—3 ჯავშნიანი გემი, 5 პირველი რანგის კრეისერი, 16 მეორე რანგის და ოთხი ასაფეთქებელი ნავი; რუსეთს—1 ჯავშნიანი გემი, 2 მეორე რანგის კრეისერი და 8 ასაფეთქებელი ნავი; საფრანგეთს—1 ჯავშნიანი გემი, 3 პირველი რანგის კრეისერი, 19 მეორე რანგის და 5 ასაფეთქებელი ნავი; რუსეთს—2 ჯავშნიანი გემი და 3 კრეისერი; გერმანიას—4 დიდი კრეისერი, 2 პატარა და 2-იც კანონერის ნავი; იაპონიას 14 გემი, რომლებითაც გერმანელი ჯარი მოდის; შეერთებულ შტატებს—3 ჯავშნიანი გემი, 1 პირველი ხარისხის კრეისერი, 17 მეორე ხარისხის და 1 ასაფეთქებელი გემი. სხვა სახელმწიფოების გემები უმნიშვნელონი არიან.

∝ რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტ ბრალს სდებენ ევროპიელ მისსიონერებს ჩინეთის არეულობის საქმეში. ბევრი მისსიონერები დაიხოცნენ, დიდ-ძალი ფული დაიხარჯა და შედეგი კი მეტად მცირეაო, ამბობენ. გაქრისტიანებულ ჩინელთა რიცხვი დანარჩენ ჩინელებთან შედარებით იგივეა, რაც ერთი წვეთი ზღვასთან შედარებით. მისსიონერები ჰფარავენ ამ გარემოებას, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ მისცემდნენ იმ საშუალებებს, რომელიც ეხლა მათ ხელშია. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვასო, ამბობს ერთი მცოდნე კაცი, რომ არ არის არც ერთი ჩინელი, რომელსაც გულწრფელად, უანგაროდ მიეღოს ქრისტიანობა. ფულით ყველა ჩინელის გაქრისტიანება შეიძლება. სხვა მისსიონერებთა შორის, ფრანგ-იეზუიტებს ყველაზე მეტი გავლენა შეუძენიათ, რადგანაც ესენი საკვირველის მოხერხებით იქცევიან: ყოველი იეზუიტი ჩინურად ლაპარაკობს, ჩინურად იცვამს და ხან-და-ხან, როგორც ამბობენ, მას ზოგიერთი ვერპებიც კი შეაქვს ეკლესიებშიო. პროტესტანტები კი ევროპიულად ცხოვრობენ, წირვა-ლოცვა ამათ ეკლესიებში თარჯიმანების საშუალებით ხდება და სხვა. ამიტომ ჰფიქრობენ, რომ მისსიონერების მოქმედება მოისპობა, როგორც კი გაიგებენ, თუ რამდენად უსარგებლოა იგი.

∝ აქამდე ბუდის სარწმუნოების ქურუმები არ იღებდნენ მონაწილეობას არეულობაში. ეხლა კი ესენიც აქეზებენ ხალხს ევროპიელების წინააღმდეგ: გაიდევნეთ მისსიონერები და დაანგრიეთ მათი სადგომებიო, ქადაგობენ ესენი.

∝ ერთ ინგლისელ კორრესპონდენტს 1000 გირვანქა სტერლინგი უძლევია, ოღონდ-კი სარწმუნო რამ გაეგო პეკინის საელჩოების შესახებ, მაგრამ დარწმუნებულა, რომ თვითონ ჩინელებმა არ იციან რა გარდა იმისა, რომ 28 ივნისიდან 5 ივლისამდე (ახ. სტ.) ყველა უცხოელები დახოცესო. კორრესპონდენტი ამბობს, ეჭვს გარეშეა, რომ ჩინეთი ევროპასთან საბრძოლველად ემზადებაო.

∝ იმპერატორ ვილჰელმს მიუნდვია ადმირალ ბენდემანისათვის, გაგ-

ფუნოს იმპერატორის ხარჯზე ვინმე ჩინელი პეკინში ელჩებისაგან რამე ცნობის მისაღებად.

✦ ჩინელებს არა ჰსურთ ევროპიელების ჩინეთში ყოფნაო, ამბობს ერთი ინგლისელი, რომელიც კარგად იცნობს ჩინელებს. წინად ისინი მტრულად არ უცქეროდნენ ქრისტიანებს, რადგანაც ჩინელი სარწმუნოების მხრივ ფანატიკოსი არ არის. მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ მისიონერებს კვალში მოსდევს ევროპიული ცივილიზაცია, ამათ შესძაგდათ მისიები, და დაიწყო **სარწმუნოებრივი** ბრძოლა: ხალხი, რომელიც ასე შორს იყო ფანატიკოსობისაგან, ესლა გაფანატიკოსდა.

## ახალი ამბავი

✦ შესახებ ახალი გარდასახადების შემოღებისა ჩვენში, უმართებულესს სენატს უმაღლესად ებრძანა: 1) მოსპობილ იქმნას საკომლო და სხვა მიწაზე დადებულ გარდასახადები და ამათ მაგიერ შემოღებულ იქმნას სახელმწიფო მიწებზე საიჯარო და კერძო მამულების გარდასახადი და 2) საერობო გარდასახადი დაედოს არა მარტო სოფლის საზოგადოებათა მიწებს, არამედ იმ კერძო პირების მამულებსაც, რომელნიც არ ეკუთვნიან არც სოფლის საზოგადოებების და არც თავად-აზნაურობას.

მაგრამ, რადგანაცო,—ამბობს უმაღლესი ბრძანება,—ამ ახალი გადასახადების შემოღებით იმ პირთა მამულების გარდასახადი, რომელნიც საკომლო გარდასახადს არ იხდიდნენ, შესამჩნევად დიდი იქმნება იმაზედ, რასაც აქამდე იხდიდნენ, ამიტომ ამათ ეპატიებათ ყველა ჯერ შეუტანელი გარდასახადი ჯარიმებით 1900 წლის 1-ლ იანვრამდე. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ქონებრივად შევიწროებულია; ის მამულები, რომელნიც ამ ორ გუბერნიაში ჩამომავლობით აზნაურებს ეკუთვნიან, განთავისუფლებულნი იქნებიან 1901 წლიდან 1903 წლამდე მიწაზედ დადებულ სახელმწიფო გარდასახადისაგან.

✦ სასამართლოს ბოქაულის კამერაში (პირველი ნაწილი) 14 ივლისს, დილის 10 საათზე, მოხდება **სომხურ გაზეთ „ნორდარის“** საჯაროთ გაყიდვა სტამბის პატრონის შაჰნაზაროვის ვალში, რომელიც 3000 მანეთი ყოფილა.

✦ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მოსვლია თავ. თათარხან თენგიზის ძის დადიშკელიანისაგან ბერძნული ძველი ოქროს ფული. ეს ფული უპოვიათ სვანეთში 11 ცალი. 10 ცალი ამ ფულისა გაყიდულა 4000 მან. და წაუღიათ პეტერბურგში, სადაც თითო ფული 2000 მან. დაუფასებიათ.

✦ ქართულ საეპარქიო სამოსწავლო რჩევას ნება დაურთავს, **გამართულ იქმნას** ზოგიერთ ტფილისის სამრევლო სკოლებში **სახალხო კითხვები** როგორც მოსწავლეთათვის, ისე გარეშე პირთათვისაც.

✦ კავკავში, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის იუბილეის აღსანიშნელად, განზრახვა აქვთ **დაარსონ კადეტთა კორპუსი.** კორპუსის შენობის საძირკვლის ჩაყრას ფიქრობენ 1901 წელს 1 სექტემბერს, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღეს.

✦ დღეს, 11 ივლისს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება საზოგადოების საბჭოს, რომელიც განიხილავს მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან ნება-დართულ, საქართველოს რუსეთთან შეერთების სახსოვრად, 1900 წელს კავკასიის სამეურნეო **გამოფენის გამართვის საქმეებს.**

✦ 215,000 მანეთია გადადებული **ჭიათურის რკინის გზის ლიანდაგის** მომატებისათვის.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ. სვეჩინმა წინადადება მისცა ტფილისის ხელოსანთა მოურავს ბ. სერობიანცს—მოახდინოს **ხელოსნების საზოგადო კრება სარევიზიო კომისიის ასარჩევად.** კომისიაში უნდა ამოირჩიონ 4-ი ან 5-ი კაცი; მათ უნდა გასინჯონ სახელოსნო გამგეობის შემოსავალ-გასავალი 1897 პირველ ნოემბრიდან 1900-ის პირველ იანვრამდე. ამ არჩევნების ზედამხედველობა მინდობილი აქვს ბ-ნ საგუბერნიო რჩევის წევრს კიგანკოვს.

✦ რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში მოაწყოს სრულიად რუსეთის **მევენახეთა და მეღვინეთა საზოგადო კრება.**

✦ **სატელეგრაფო სკოლა**, რომელზედაც ჩვენ ამას წინად ვსწერდით, გაიხსნება ტფილისში ამა წლის 15 სექტემბერს.

✦ რკინის გზის მმართველობას განზრახვა აქვს ამ ზაფხულს გაადიდოს სადგურ რიონი, აბაშა და გრაკალი, რადგანაც მოგზაურთა საჭიროება მოითხოვს ამას.

✦ რადგანაც ყარსის და პეტროვსკის რკინის გზებზე მიმოსვლის დაწყების შემდეგ მგზავრთა რიცხვმა მეტად იმატა ტფილისის სადგურზე, ამიტომ განზრახვა აქვთ გაადიდონ ეს სადგური.

✦ გზათა სამინისტროს დაუდგენია, მოახდინოს 3 წელიწადში ერთხელ აღწერა როგორც რკინის გზაზე მოსამსახურეთა, ისე მათის ოჯახების წევრებისა.

✦ სასულიერო მთავრობის განკარგულებით, **საქალებო სამრევლო სკოლების** გახსნის შესახებ შუამდგომლობაში უთუოდ უნდა იქმნას აღნიშნული, თუ რამ გამოიწვია ქალთათვის ცალკე სკოლის დაარსების მოთხოვნილება, აგრეთვე ისიც, ადგილობრივ საზოგადოებას რა ხარჯის გაწევა შეუძლიან სკოლის სადგომისათვის. ამ გვარი შუამდგომლობა ჯერ უნდა შეიტანონ ეპარქიის სამაზრო (საბლაღოჩინო) განყოფილებაში, რათა ამ უკანასკნელმა თავისი აზრი წარმოუდგინოს მთავრობას შუამდგომლობის შესახებ.

✦ პეტერბურგის საფარმაცევტო საზოგადოებაში აღძრულა კითხვა შესახებ **სასოფლო აფთიაქების საურთიერთო დაზღვევის** საქმის მოწყობისა. ჰფიქრობენ, რომ თავდაპირველად ყველა სასოფლო აფთიაქამ უნდა გადიხადოს 1 მ. 25 კ. დაზღვევისათვის საჭირო კაპიტალის შესადგენად. ცეცხლის შემდეგ, აფთიაქის პატრონს მიეცემა 1000 მანეთი; ეს ფული მოიკრიბება სასოფლო აფთიაქის მეპატრონეებისაგან (თვითოეულისაგან 1 მ. 25 კ.), რომელთაც ცე-

### სამეცნიერო ქრონიკა

ახალი საშუალებები ჭლექის წინააღმდეგ.

(დასასრული *)

როგორც ზემო მოყვანილიდან სჩანს, გერმანელი სანატორია აძლევს ჭლექით ავადმყოფს ყველაფერს, რაც საჭიროა მისი ჯანსაღობის აღსადგენად: წმინდა ჰაერს, კარგ საჭმელს და მოსვენებას. მაგრამ როგორ უნდა მოისვენოს საწყალმა მუშამ, როცა იცის, რომ მისი ცოლშვილი ან სხვა მახლობელნი უმისოდ, ე. ი. უპატრონოდ, გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. ამასაც უშველეს გერმანელებმა: დაარსეს მუშათა დასაზღვევი კასსები, რომელთა რიცხვი გერმანიაში ერთობ ბევრია. ყოველ წლივ რამდენიმე პროცენტს შემოსავლისას გადასდებენ ხოლმე ჭლექით ავათმყოფ მუშათა ოჯახების სასარგებლოდ; აგრეთვე იქცევიან გერმანიის ბევრი საქველმოქმედო საზოგადოებები: ეხმარებიან გაჭირვებულებს, თუ ტანისამოსით, თუ ფულით, თუ სამუშაოს შოვნით. როგორც ვხედავთ, გერმანიაში ეს საქმე კარგად და რიგიანად არის მოწყობილი.

კარგი იქნებოდა სხვა ქვეყნებშიაც ეგრე იყოს, მაგრამ სად არის! საფრანგეთშიაც და ინგლისშიაც კი ამ მხრივ ჯერ არაფერი გაუკეთებიათ. ნუ თუ, გარდა სანატორიებისა, სხვა არა უშველის-რა საბრალო ჭლექით ავათმყოფებს!—ხსნა არისო, ამბობენ, თუმცა ძრიელ ფრთხილად, საფრანგეთის ცნობილი ფიზიოლოგები—ერიკური და რიშე.

ეს მეცნიერები შემდეგ ნაირად შეუდგნენ საქმეს: აუცრეს საღ ძაღლებს ჭლექის ბაცილები და, როცა ძაღლები ავათ შეიქნენ, დაუწყეს მათ სხვა-და-სხვა ნაირად კვება იმის გამოსაცნობად, თუ რომელი საჭმელი როგორ იმოქმედებს ავადმყოფობაზე: რადგანაც ძაღლი ხორცეულის მჭამელი ცხოველია, საუკეთესო საჭმელად მისთვის ხორცი უნდა ჩაითვალოს. პირველად ყოვლისა უნდა გამორკვეულიყო, ხორცის რომელი ნაწილი უფრო სასარგებლოა ორგანიზმისათვის. ხორცში არის მაგარი ნაწილი, „ბეწვნარი“, თუ შეიძლება ამგვარი ქართული სიტყვა, და წვენი. ხორცის კარგად გაწურვისათვის, მას ჰკეპენ, როგორც კატლეტის ხორცს, უმატებენ გაცივებულ ნადუღ წყალს (ხორცის წონის ნახევარს) და მერე გასწურავენ. ავადმყოფი ძაღლები გაყვეს სამ ჯგუფად: ერთ ჯგუფს აჭმევდნენ ძაღლის ჩვეულებრივ საჭმელს, მეორეს—ხორცის მაგარ ნაწილს „ბეწვნარს“, გაწურვის ნარჩენს, მესამეს—გამოწურვილ ხორცის წვენს. პირველი ორი ჯგუფი ერთი თვის განმავლობაში გაწყდა: მათ ეტყობოდათ ყველა ნიშნები ეგრედ წოდებული „ჩქარი“ ჭლექისა. მესამე ჯგუფი კი სულ სხვა სურათს წარმოადგენდა: ამ ჯგუფიდან არა თუ არ მომკვდარა არც ერთი ძაღლი, წინააღმდეგ, მეტად გასუქდნენ და წონაშიაც შესამჩნევად მოიმატეს. ერთ ძაღლს განზრახ თითქმის სიკვდილამდე მიაღწევინეს; მას არც ადგომა შეეძლო, არც ჭამა; პირი გაუღეს და ისე ჩაასხეს ხორცის წვენი. ძაღლი თანდათან უკეთ შეიქნა, გამოცოცხლდა და სამ კვირაზე უკეთ შეიქნა, ვიდრე ცდამდე იყო.

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1172.

ცხლის წაკიდების ამბავს გაგებისათანავე შეატყობინებენ. ამ საურთიერთო დაზღვევის პროექტს, სანამ დასამტკიცებლად წარადგენენ, გაუგზავნიან ყველა აფთიაქებს და ფარმაცევტების საზოგადოებებს, მათი აზრის გასაგებად.

✦ გუშინ, 10 ივლისს, კიდევ მოხდა უბედურება სახლის აშენების დროს. კუკიაში, ენფინჯიანცის ქარხანის პირდაპირ, კარაპეტოვი აშენებს სახლს. გუშინ დილით ჩაწოლილა ჭერი, სტრაფილები და შუა კედლები. მუშაობდნენ თურმე 15 კაცი, ზოგი ნანგრევებს ქვეშ მოჰყოლიან. მაშინვე ადგილის დასათვალიერებლად მივიდნენ ვიცე-გუბერნატორი, პოლიცმეისტრის მოადგილე, ქალაქის თავის მოადგილე, ქალაქის ინჟინერი და სხვანი. მოწვეულ იქმნენ ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურენი, ერთი როტა ჯარის კაცი და დაუწყეს ნანგრევის გაწმენდას. ჯერ 6 კაცი ამოიყვანეს ნანგრევებიდან. მათგან სუმბუქად არიან დაჭრილნი და ორნი მძიმედ არიან დაშავებულნი. ამბობენ, კიდევ უნდა იყოს ნანგრევებ ქვეშ მოყოლილი. მიზეზი ის ყოფილა, რომ „ყაირათის“ გულისათვის ცოტა მოკლე სტრაფილები დაუწყვიათ. სახლი კარაპეტოვისაა.

✦ რიყეზე, პ. გვრიტიშვილის სახლში, გუშინ, 10 ივლისს, ჩაინგრა სარდაფის თაღი. იმ დროს სარდაფში არავინ არ ყოფილა, ასე რომ უბედურება არა მომხდარარა.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ გუშინვე მისცა წინადადება ქალაქის ინჟენერს ადგილობრივ გამოიძიოს დაწვრილებითი მიზეზი კარაპეტოვის სახლის დანგრევისა, რომელი არქიტექტორი უგდებდა თვალ-ყურს და ვინ გასინჯა გეგმა.

✦ დღეს ქალაქის გამგეობაში სხდომა ექნება საბჭოს იმ კომისიას, რომელიც განიხილავს ქალაქის საყასბოსთან ქალაქის მიწების იჯარით გაცემის საქმეს.

✦ დღეს, 11 ივლისს, ტფ. გამგეობის სადგომში მოხდება სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც ვალად აძლევს იზრუნოს საქალაქო ბაკების დაარსების შესახებ. როდესაც ამგვარი ბაკები იქნება დაარსებული, კერძო ბაკები დაიკეტება.

✦ პარასკევს, 14 ივლისს, აგრონომი ი. ი. ზ. ანდრონიკაშვილი საზღვარ გარედ მიდის სამეურნეო გამოკვლევათა მოსახდენად და ზოგიერთ სამეურნეო კულტურის შესასწავლად.

✦ წარსულ კვირას ქუთაისს ბაღდადის გზა-ტკეცილზე ხიდის მოაჯირების უქონლობის გამო ხიდიდან გადავარდა ღრმა წყალში, ერთი მგზავრი დეფაკაცი. საბრალოს მარცხენა მკლავი მოსტეხოდა და წყლითაც საკმაოთ გაგუდულიყო. რომ თანამგზავრი არა ჰყოლოდა ამ საბრალოს, უსათუოდ დაიხრჩობოდა. კარგი იქმნება, ყურადღებას მიაქცევდნენ ამ ხიდს და მოაჯირებს გაუკეთებდნენ, თორემ ამისთანა შემთხვევა მუდამ დღე მოსალოდნელია.

✦ სოფ. ვარციხედან (იმერეთი) გვწერენ: „ეს სოფელი მდებარეობს ქუთაისიდან 16 და დაბა ბაღდადიდან 8 ვერსის მანძილზე. ამ სოფელში სცხოვრობს 120 კომლი სახელმწიფო გლეხი, ორთა შუა რიცხვით 840 სული იქმნება, და ეს ამოდენა ხალხი სწავლა-განათლებას მოკლებული არის, რადგანაც სამინისტრო სკოლა დაარსებულია დ. ბაღდადს, 8 ვერსის სიშორეზე; ბავშვებისათვის ამოდენა მანძილის ყოველ დღე მისვლა-მოსვლა შეუძლებელია და ამის გამო მოზარდი თაობა უსწავლელი რჩება. იმედია, ადგილობრივი მღვდელი ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და სამრევლო სკოლის დაარსებას შეაგონებს თავის მრევლს.

✦ სამხედრო ოლქის შტაბმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, რომ მისცესჴნება გაიყვანონ წყალი მილებით ჯარის საზაფხულო საბანაკო ადგილში ავჭალიდან გამოყვანილ მილიდან. დღეში 60.000 ვედრო წყალი იქმნება საჭირო და ამისათვის ჩვენ ავაშენებთ აუზს თქვენი აუზის ახლო და ამ აუზით შეგიძლიანთ თქვენც ისარგებლოთო.

✦ ჩვენ მივიღეთ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მეექვსე წიგნი შემდეგის შინაარსით: 1) „ჩიტის სიმღერა“—ლექსი, ვაჟა-ფშაველასი; 2) „ყვავილების გამყიდველნი“—მოთხრობა ნიკო ხუციშვილისა; 3) „სად დაიკარგა ჩვენი ზღარბუნა“—გადმოკეთებული, კახიმერისა; 4) „ტობი“—სონა ციციშვილისა; 5) „რა მოხელება“—ხალხური იგავი, ი. ა—ნისა; 6) „სამი პეპელა“—თარგმანი, სამსონ საბაშიოელისა; 7) „პატარა მოგზაურობა“—არჩილაი; 8) „მინდორი მკის დროს“—ეკ. გაბაშვილისა; 9) „შავი მხედრობა“—მოთხრობა მამინ სიბირიაკისა, თარგმ. შალვა ტატიშვილისა; 10) „პირველი სარდალი რუსეთისა სუვოროვი“—გ. წყალტუბელისა; 11) „პატარა მკითხველების წერილები“; 12) წვრილმანი: ხალხური ლექსი, აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, უჯრების გამოცანა, ანაგრამა, რებუსი და გამოცანის ახსნა.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

# გამოსადეგი ცნობანი

## ნ ი ხ რ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . 1 | გ. | $8^1/_2$ კ. |
| სუკი . . . . . . | » | — | 15 კ. |
| » ცხვრისა . . . . | » | — | $8^1/_2$ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — | 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | — | 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: კოჯზაღზე, | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . | 1 | 1 | 1—5 | — |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 10 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 » | 25 » |
| № 1—8 » | 50 » | № 5—7 » | — » |
| № 2—8 » | — » | № 6—6 » | 75 » |
| № 3—7 » | 50 » | № 7—6 » | 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%. შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმშა ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

---

ამ გამოცდის შემდეგ ერიკური და რიშე შეუდგნენ ამ საშუალებით ჰლექიან ადამიანების წამლობას. აქაც ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა ამ ცდას. საბოლოოდ ამ კითხვის გადაწყვეტა ჯერ შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა, რომ საშუალება გამოიცადოს რამდენიმე ათას ავადმყოფზე, მაგრამ რადგანაც იგი უვნებელია, მეტი არ იქნება მისი აღწერა, თუ როგორ მზადდება ეს ხორცის წვენი.

უნდა აიღოთ $2^1/_2$ კარგი ძროხის ხორცი (აქ სახეშია მიღებული დავაჟკაცებული ავადმყოფი), დაჰკეფოთ იგი. დაასხათ $1^1/_2$ გირვანქა გაცივებული ნადუღიწყალი და აურიოთ; მერე ჩაასხით სუფთა ტილოში და დასწურეთ, თუ იშოვება, პრესის საშუალებით, და თუ არა, ორ სუფთა ფიცარს შუა. კარგი იქმნება, თუ წყლის დასხმის შემდეგ ერთ—ორ საათს გავაჩერებთ ნარევს და მერე დავწურავთ. თუ კარგად გავწურავთ, მივიღებთ 1 გირვანქაზე მეტ წვენს. ავადმყოფმა ცოტ-ცოტა უნდა სვას იგი (დღეში სამჯერ) საჭმლის წინად. თუ ავადმყოფს შეეზიზღა ეს წვენი, შეიძლება მას მიემატოს ისეთი რამ, რაც მას აგემრიელებს; მაგრამ ეს მისამატებელი უთუოდ ცივი უნდა იქმნეს.

რითი უნდა აიხსნას ხორცის წვენის ამგვარი ძალა და თვისება? — ამაზე ერიკური და რიშე არაფერს ამბობენ, როგორც ფრთხილი მეცნიერები. როცა საკმაო მასალა ექნებათ, თავისას მაშინ იტყვიან, და ჩვენ მკითხველებსაც მაშინ შევატყობინებთ (В. И. Л. 1900, 4).

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

საფოსტო მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

საფოსტო მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

სახალხო მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

სახალხო მატარებელი № 6 ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

სააგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

სააგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სააგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი საღამ. 1 ს.

# განცხადებანი


**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ ქალაქის აგარაკი, ავეჯით მოწყობილი, რომელიც იმყოფება ბორჯომში და ეკუთვნოდა წინად აბესალომოვს და შეიცავს ქვეითა სართულში 5 ოთახს და ზევით სართულში ოთხ ოთახს, გაიცემა ქირით, დაკლებულ ფასად. პირობები შეიძლება გაიგონ გამგეობის მეორე განყოფილებაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 8 საათიდან შუადღის 1 საათამდე. (3—2)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის ანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 20 ივლისს 1900 წელს ნაცვლად არ-მომხდარ ვაჭრობისა, დანიშნულია ახალი ვაჭრობა მიწის იჯარით გაცემაზე. მიწა იმყოფება პოლიციის მე-7 ნაწილში, ქ. ტფილისში, ავლაბარში, სივრცით 23 დესიატინაა და შეიძლება ვაჯის დაწვა.

ვისაც ჰსურს ნახოს ვაჭრობის პირობები, შეუძლიან გასინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე დილის 8 საათიდან 1 საათამდე. (ნ 3—3)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

**გამგეობისაგან.**

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

**გლეხი-კაცის ისტორია,**

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Іюля 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განჯის დიდი ქუჩა, № 27.